ჩვენთან ერთად აღნიშნეთ ენების ევროპული დღე

26 სექტემბერი !

რა არის ენების ევრპული დღე (ეედ)?

ეს დღე ხელს უწყობს ენების შესწავლას მთელ ევროპაში.

სტრასბურგი, ევროპის საბჭოს ინიციატივით 2001 წლიდან ყოველი წლის 26 სექტემბერს აღინიშნება ენების ევროპული დღე.

რატომ აღვნიშნავთ ეედ-ს?

- იმიტომ, რომ საზოგადოების ყურადღება მივმართოთ ენების შესწავლის მნიშვნელობისადმი, რათა ხელი შევუწყოთ მრავალენოვნებასა და ინტერკულტურულ ურთიერთგაგებას;
- პოპულარიზაცია გავუწიოთ ევროპის მდიდარ ლინგვისტურ და კულტურულ მრავალფეროვნებას;
- ხელი შევუწყოთ ენების შესწავლას მთელი ცხოვრების მანძილზე, სკოლაში და მის გარეთ.

იცოდით თუ არა რომ...?

- მსოფლიოში არსებობს 6000-დან 7000 ენამდე და მათგან დაახლოებით 225 ევროპის მკვიდრი მოსახლეობის ენაა.
- მსოფლიოს ენების უმეტესობას სალაპარაკოდ აზიასა და აფრიკაში იყენებენ.
- მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი მაინც ორენოვანი ან მრავალენოვანია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ლაპარაკობენ ორ ან მეტ ენაზე ან ესმით ორი ან მეტი ენა.
- ორენოვნება აიოლებს სხვა ენების შესწავლას და აუმჯობესებს აზროვნების პროცესს.

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს!

ვისთვის არის ეს დღე?

- მოსწავლეების/სტუდენტების/ მასწავლებლებისთვის
- უნივერსიტეტების/სკოლების/ კულტურული ინსტიტუტების/ენის ინსტიტუტებისათვის
- ასოციაციებისათვის...

ფაქტობრივად ყველასთვის, ვისაც სურს ევროპის ლინგვისტური მრავალფეროვნების აღნიშვნა.

www.coe.int/EDL

შემოგვიერთდით ფეისბუკზე:
facebook.com/ecml.celv

EUROPEAN CENTRE FOR MODERN LANGUAGES
ECML
CELV
CENTRE EUROPEEN POUR LES LANGUES VIVANTES

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ერთად აღვნიშნოთ ენების ევროპული დღე 26 სექტემბერს!

რის ნახვას შევძლებ ეედ-ის ვებგვერდზე?

- იმ ღონისძიებებისა და აქტივობების განრიგს, რომლებიც იმართება მთელ მსოფლიოში ენების დღის აღსანიშნავად;
- მიმდინარე ინფორმაციას ეედ-ის შესახებ 20-ზე მეტ ენაზე;
- ფაქტებსა და მონაცემებს ენების შესახებ;
- მასალას მასწავლებლებისათვის/ ღონისძიების ორგანიზატორებისათვის (ღონისძიების მაგალითები, ეედ-ის აქტივობები);
- ონლაინ თამაშებს თქვენი ცოდნისა და უნარების შესამოწმებლად;
- იდიომებს, სასაცილო სიტყვებს, მთარგმნელის
- „ცრუ მეგობრებს“, ძალიან გრძელ სიტყვებს, პალინდრომებს, ენის გასატეხებს და ევროპის მდიდარი ენობრივი ლანდშაფტის განსხვავებისა და მსგავსების ბევრ სხვა მაგალითს;
- ყველაზე ინოვაციური ღონისძიებისათვის ხმის მიცემის საშუალებას.

როგორ ჩავერთო აღნიშნულ ღონისძიებებში?

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს, პარტნიორებსა და კერძო პირებს თავისუფლად შეუძლიათ თავად გაუწიონ ორგანიზება, ან დაეხმარონ სხვას აქტივობების ორგანიზებაში და გამოიყენონ ეედ-ის ვებგვერდი და სარეკლამო მასალები.

იდეები

- გაუწიე ორგანიზება ისეთ ღონისძიებას როგორიცაა, მაგალითად, ენობრივი კაფე, წვეულება, შეჯიბრება, სადილი....
- დაიწყე ბლოგის წერა ენების შესახებ
- დაწერე ელექტრონული წიგნი/ჟურნალი
- შექმენი საკუთარი ენობრივი ტესტი სტუდენტებისთვის/სკოლისთვის/ მეზობლებისათვის...
- ჩაატარე ღია ბარათების/ პოსტერების/ ვიდეო-/ ფოტო-/ ლიტერატურული/ მუსიკალური შეჯიბრება ან თამაშები.

გახადე პოპულარული საკუთარ ღონისძიება ეედ-ის ვებგვერდზე მონაცემთა ბაზაში ატვირთვით!

უამრავი იდეა და მასალები მასწავლებლებისათვის იხილე: http://edl.ecml.at/teachshare.

ვინ არის ეედ-ის კოორდინატორი?

ენების ევროპული დღის კოორდინატორია ევროპის საბჭო: ენობრივი პოლიტიკის განყოფილება (სტრასბურგი) და ევროპის საბჭოს თანამედროვე ენების ევროპული ცენტრი (გრაცი).

40-ზე მეტ ქვეყანაში ეროვნული საკონტაქტო პირები ხელს უწყობენ ეედ-ის მასალების გავრცელებასა და ამ დღის რეკლამირებას.

თქვენი ეროვნული საკონტაქტო პირია:

Dr. Professor Marika Odzeli
Apt.2 Iakob Nikoladze str. 5A
0179 Tbilisi, Georgia
tel: 995 32 77 173 303
makodzeli@hotmail.com